



აქაქი წარათლის
სახალმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

ქართულ ლიტერატურაში

ქუთაისი
2011

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ქართული ლიტერატურა
Georgian Literature

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ქართული ლიტერატურის ისტორიაში / MA in the history of Georgian Literature

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: აკადემიური ხარისხის მისაღებად მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 120 ECTS კრედიტი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

1. ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.
2. ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება.
3. საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება ქართულ ლიტერატურაში.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

მაგისტრანტთა მიერ ბაკალავრიატში ქართულ ლიტერატურაში შეძენილი ცოდნის გაღრმავება; ქართულ ლიტერატურაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის მომზადება; ლიტერატურულ მოვლენათა არსში ღრმად წვდომის, კრიტიკულად განსჯის, საკუთარ შეხედულებათა ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბებისა და წერილობითი ფორმით გამოხატვის უნარის განვითარება; ინტერდისციპლინარული კვლევებისადმი ინტერესის გაღვივება და განსხვავებული მეთოდების არსში გარკვევა; ქართული მწერლობის მთლიანი პროცესისათვის დამახასიათებელ ტენდენციათა სიღრმისეულად გააზრება.

სწავლის შედეგი:

1. ცოდნა და გაცნობიერება:

- მაგისტრს შეძენილი ექნება ქართული ლიტერატურის პრობლემური საკითხების ღრმა, საფუძვლიანი და სისტემური ცოდნა, რაც საშუალებას მისცემს, შეიმუშაოს ახალი, ორიგინალური იდეები და შეხედულებები;
- გაერკვევა პრობლემათა არსში და რეალურად შეძლებს მათ გადასაჭრელ გზათა მოძებნას;
- ჩამოყალიბებული ექნება ლიტერატურული მოვლენებისადმი მისეული თვალთახედვით მიდგომის უნარ-ჩვევები;
- მაღალ პროფესიულ დონეზე განიხილავს, განმარტავს და შეაფასებს ლიტერატურულ ტექსტებსა და სამეცნიერო ნაშრომებს;

- ღრმად და არგუმენტირებულად გაიაზრებს ქართული ლიტერატურის განვითარების მთლიან პროცესსა და მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს;
- ქართული მწერლობის განვითარების უმნიშვნელოვანეს ტენდენციებსა და პრობლემურ საკითხებს განიხილავს, განმარტავს და შეაფასებს მსოფლიო ლიტერატურის შესაბამის მოვლენებთან მიმართებით;
- მაღალპროფესიულად იქნება დაუფლებული ინტერნეტ-რესურსებსა და ინფორმაციის მოპოვების სხვა საშუალებებს;
- გამომუშავებული იქნება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

- შეძლებს ლიტერატურულ მოვლენათა გააზრებას, გაანალიზებასა და შეფასებას ახლებური თვალთახედვით;
- კომპლექსური მიდგომის საფუძველზე მოძებნის პრობლემათა გადასაჭრელ გზებს;
- უახლესი მეთოდების გამოყენების საფუძველზე განახორციელებს ლიტერატურულ მოვლენათა დამოუკიდებლად კვლევას;
- ქართული ლიტერატურის პრობლემურ საკითხებს ახსნის და შეაფასებს ერთ მთლიან კულტუროლოგიურ კონტექსტში;
- შეძენილ ცოდნას გამოიყენებს მეცნიერული კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის მაღალ პროფესიულ დონეზე წარსამართად.

3. დასკვნის უნარი:

- უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით მოახდენს მოვლენათა კრიტიკულ გაანალიზებას და სათანადოდ არგუმენტირებულ დასკვნათა ჩამოყალიბებას;
- მოძებნის პრობლემათა გადაჭრის გზებს;
- დამოუკიდებლად შეაფასებს ლიტერატურულ პროცესებს და მოახდენს მათ ინოვაციურ სინთეზს.

4. კომუნიკაციის უნარი:

- შეძლებს საკუთარი შეხედულებების, დასკვნებისა და არგუმენტების საფუძველზე კომუნიკაციის დამყარებას აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე;
- საკუთარ მოსაზრებებს გამოხატავს ზეპირადაც და წერილობითი ფორმითაც;
- მონაწილეობას მიიღებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით გამართულ კამათში, სადაც ჩამოყალიბებს, განმარტავს და დაიცავს საკუთარ შეხედულებებს; მოახდენს მათ პრეზენტაციასა და შეჯამებას.

5. სწავლის უნარი:

- მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებს პროფესიული დონის სისტემატურად სრულსაყოფასა და ამაღლებას;
- მოახერხებს სწავლებისა და მეცნიერული კვლევის დამოუკიდებლად წარმართვას, საამისოდ საჭირო საკითხთა მართებულად გაცნობიერებასა და სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვას;
- მოიძიებს სათანადო სამეცნიერო ლიტერატურასა და წყაროებს ბიბლიოთეკებში, არქივებში, მუზეუმებსა თუ ინტერნეტში.

6. ღირებულებები:

- დაიცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს და სხვათა დამსახურების კეთილსინდისიერად შეფასების საფუძველზე შეეცდება დაამკვიდროს ახალი სამეცნიერო ღირებულებები;
- განუმტკიცდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, ლიტერატურული, მეცნიერული და სხვა სახის დიდმნიშვნელოვანი მოვლენებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა და პრობლემური საკითხებისადმი სწორი მოქალაქეობრივი პოზიცია;
- გაულრმავდება ეროვნული თვითშეგნება.

დასაქმება:

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს მუშაობა შეეძლება:

- სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში შესაბამისი პროფილით;
- ბიბლიოთეკებში, გამომცემლობებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, რადიო-ტელევიზიებში, არქივებში, მუზეუმებში, ტურისტულ ფირმებსა და მსგავსი ტიპის სტრუქტურებში;
- სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

**სასწავლო პროგრამა მაგისტრატურაში
ქართული ლიტერატურის სპეციალობით**

№	დისციპლინის დასახელება	სააუდიტორიო მუშაობა							საათების განაწილება ერთი კვირის ფარგლებში				
		სთ. სულ	ლექცია	პრაქტიკული	კრედიტების რაოდენობა სემესტ. მიხ.					I კურსი		II კურსი	
					I	II	III	IV	სულ	I 12კ	II 15კ	III 15კ	IV
სავალდებულო საგნები													
1	სამეცნიერო წერის საფუძვლები	24	8	16	5				5	2			
2	ძველი ქართული მწერლობის პრობლემური საკითხები	36	18	18	5				5	3			
3	ქართული ლიტერატურის თარგმნა და კვლევა ევროპაში	24	12	12	5				5	2			
4	XIX საუკუნის ქართული ლიტერის პრობლემური საკითხები	30	15	15		5			5		2		
5	ქართული ემიგრანტული მწერლობა	30	15	15		5			5		2		
6	XX საუკუნის ქართული მწერლობის პრობლემური საკითხები	30	15	15			5		5			2	
7	მოდერნიზმი და ავანგარდიზმი ქართულ მწერლობაში	30	15	15			5		5			2	
8	ქართული ლექსთმცოდნეობის საკითხები	30	15	15			5		5			2	
9	მხატვრული თარგმანის თეორია და პრაქტიკა	30	15	15			5		5			2	
10	უცხო ენა	108		108	5	5			10	4	4		
11	საკურსო სამუშაო	125					5		5				
12	სამაგისტრო ნაშრომი	750						30	30				
არჩევითი საგნები													
	არჩევითი საგნები 1	24	12	12	5				5	2			
1.1	თან. ინფორმაციული ტექნოლოგიები												
1.2	ქართ. სასულიერო ლირიკა												
1.3	ფოლკლორულ-მითოლოგ. სიუჟეტ., სახეები და მოტივები ქართ. ლიტ-ში.												

1.4	XX ს-ის ქართული პოემის განვითარების ძირ. ტენდენციები												
	არჩევითი საგნები 2	30	15	15		5			5			2	
2.1	რუსთველოლოგიის პრობლ. საკითხები თან. მეცნიერებაში												
2.2	ლიტ. ზღაპარი XIX ს-ის ქართ. მწერლობაში												
2.3	ვაჟა-ფშაველას შემოქმედ-ის პრობლემური საკითხები												
2.4	ცისფერყანწელთა შემ. პრობლემური საკითხები												
	არჩევითი საგნები 3	30	15	15			5		5			2	
3.1	პოეტური ეპოსი XVII-XVIII სს.-ის ქართ. მწერლობაში												
3.2	XIX ს-ის 80-90-იანი წწ-ის ქართ. მწერლების უმთავრესი პრობლემები												
3.3	კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედ. უმთ. პრობლემები	30	15	15			5		5			2	
3.4	ქართ. მწერლ. თან. ეტაპზე												
	სულ:	141 5	202	339	30	30	30	30	120	15	12	12	

არჩევითი კურსებისათვის განკუთვნილია 30 კრედიტი. I - III სემესტრებში სტუდენტებმა არჩევითი კურსების თითოეული ბლოკიდან უნდა აირჩიოს ორი საგანი ე.ი უნდა აითვისოს 10 კრედიტი

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის 3 და 2009 წლის 21 სექტემბრის 785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

- ა) შუალედურ შეფასებას;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. 4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

საკურსო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასების სისტემა გაწერილია შესაბამის ინსტრუქციებში.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

სამაგისტრო პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი:

სრული პროფესორები: ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ნაზი ხელაია, ომარ გვეტაძე, თამარ ახვლედიანი. ასოცირებული პროფესორები: ნესტან კუტივაძე, ლუკა დვალიშვილი, გია ხოფერია, მადონა ნიჟარაძე, ზეინაბ კიკვიძე.

სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზად გამოყენებულ იქნება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის დეპარტამენტი, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ბიბლიოთეკები. მაგისტრანტებს საჭიროების შემთხვევაში ასევე შეეძლებათ ისარგებლონ ქუთაისის ცენტრალური ეროვნული ბიბლიოთეკით, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმითა და ცენტრალური არქივით.

კომპეტენციების ცხრილი:

		დარგობრივი კომპეტენციები		ზოგადი კომპეტენციები			
		ცოდნა, გაცნობ.	ცოდნის პრაქტ. გამ.	დასვენის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
საგნები	სამეცნიერო წერის საფუძვლები	+	+		+	+	
	მველი ქართ. მწერ. პრობლემები	+	+	+	+	+	+
	მე-19 ს. ქართ. მწერ. პრობლემები	+	+	+	+	+	+
	მე-20 ს. ქართ. მწერ. პრობლემები	+	+	+	+	+	+
	ქართ. ლექსთმცოდნეობის საკ.	+	+	+	+	+	+
	ქართ. ემიგრანტ. მწერლობა	+	+	+	+	+	+
	მოდერნიზმი და ავანგარდიზმი	+	+	+	+	+	+
	ქართ. მწერლობა თან. ეტაპზე	+	+	+	+	+	+
	უცხო ენა	+	+		+		
	საკურსო ქართ. ლიტერატურაში	+	+	+	+		
	თან. ინფორ. ტექნოლოგიები	+	+	+	+	+	+
	სამაგისტრო ნაშრომი	+	+	+	+	+	+
	რუსთველოლოგ. პრობლემები	+	+	+	+	+	+
	თარგმნის თეორია და პრაქტიკა	+	+	+	+	+	+
	ქართული ლიტ-ის კვლევა და თარგმნა ევროპაში	+	+	+	+	+	+
	პოეტური ეპოსი მე-17-მე-18 სს.-ის მწერლობაში	+	+	+	+	+	+
	ქართ. სას. ლირიკა	+	+	+	+	+	+
	მეოცე ს-ის ქართ. პოემა	+	+	+	+	+	+
	რუსთველოლოგიის პრობლემები	+	+	+	+	+	+
	ფოლკ. მითოლოგიური სახეები და სიუჟეტები ქართ. მწერლ-ში	+	+	+	+	+	+
	ლიტ. ზღაპარი მე-19 ს-ის ქართულ ლიტ-ში	+	+	+	+	+	+
	ვაჟა-ფშაველას შემ-ის პრობლემები	+	+	+	+	+	+
ცისფერყანწელთა შემ-ის პრობლემები	+	+	+	+	+	+	
მე-19 ს-ის 80-90-იანი წწ. ქართ. მწერლობის უმთ. პრობლემები	+	+	+	+	+	+	
კ. გამსახურდიას შემ-ის პრობლემები	+	+	+	+	+	+	